

ბრძანება №2/57

02.03.2010

ქ. თბილისი

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის 1 მარტის №8-2/115 კორექსპონდენციისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის თანახმად

ვბრძანებ:

1. “საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის – “ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ” მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანებით დამტკიცებულ დანართში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2006 წ. №9, ნაწ. IV, მუხ. 1367 და 924) შემანიღ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა. დანართის 1367-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1367.	კაცხის მაცხოვრის შობის სახელობის ეკლესიის არქიტექტურული კომპლექსი	XI ს.	სოფ. კაცხი
-------	---	-------	------------

ბ. დანართის 924-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

924.	წმ. ჯვრის სახ. ეკლესიის კომპლექსი და ივ. გვარამაძის (“ვინმე მესხის”) საფლავი	XVIII-XXსს, 1912 წ.	ქ. ახალციხე, რაბათის უბანი
------	--	---------------------	----------------------------

2. დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს ამ ბრძანების ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში, ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ობიექტის მონაცემების სამინისტროს ინტერნეტ-გვერდზე ასახვა.

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ. თბილისი, პავლე ინგოროყვას ქუჩა №7).

მინისტრი

ნიკოლოზ რურუა